საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030651925396318

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;
9 M. Asatianis st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax:(995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

#06/1667 **10 / აპრილი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ სსიპ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ეროვნული ცენტრი) 2017 წლის 16 ნოემბერს განსახილველად შემოვიდა წყალმომარაგების კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის GWP"-ის (შემდგომში GWP) მდინარე არაგვის აუზის ზედაპირული წყალამღებებისა და საინფილტრაციო სისტემების (ბოდორნის, ბულაჩაურის, ჭოპორტის, მისაქციელის, ნატახტრის, საგურამოს უბნები) სანიტარიული დაცვის ზონის (შემდგომში სდზ) ანგარიში.

წარმოდგენილი პროექტის განხილვის შემდეგ, ნათლად გამოჩნდა მდ.არაგვის ხეობაში შექმნილი რთული ეკოლოგიური ვითარება, მდგომარეობა საყურადღებოა, იქმნება გარემოს დაბინძურების და ინფექციურ დაავადებების გავრცელების რეალური საფრთხე და საჭიროებს სათანადო უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ღონისძიებების გატარებას.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მდინარე არაგვის წყლის დაბინძურების წყაროების შეფასებისას, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამაბინძურებლად ჩაითვალა მდინარის წყლების დაბინძურება სამეურნეო - ფეკალური ჩამდინარე წყლებით. მჭიდროდ დასახლებული პუნქტების უმრავლესობა განლაგებულია მდინარე არაგვის ნაპირზე, შესაბამისად წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების უმეტესობა მდინარეში ჩაედინება. მდინარე არაგვის აუზში განლაგებული დასახლებული პუნქტებიდან პრაქტიკულად არცერთს არ აქვს საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობა. რეგიონში დაგეგმილია გუდაურის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ასევე სამუშაოები მიმდინარეობს დუშეთისა და ფასანაურის წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის კუთხით, თუმცა დეტალური ინფორმაცია ამ სამუშაოების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი (პროექტის მიხედვით).

მნიშვნელოვანი დაბინძურების წყაროა, ასევე, ჟინვალის წყალსაცავიდან ქვემო დინების მიმართულებით არსებული საკანალიზაციო კოლექტორი.

ასევე, მდ. არაგვის დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა ქ.დუშეთის საკანალიზაციო სისტემა. ჩამდინარე წყლები იკრიბება ქალაქის აღმოსავლეთით, მდინარე დუშეთის ხევის მარცხენა მხარეს მოწყობილ მთავარ 400 მმ-იან კოლექტორში, რომლის სამუალებითაც ფეკალური წყლები გაიყვანება ხევის მარცხენა მხარეს. დღეისათვის, საკანალიზაციო სისტემის მდგომარეობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს.

ასევე, მოგახსენებთ, რომ მდინარე არაგვის წყლების დაბინძურების და შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს ბატონ ლევან ზაუტაშვილს და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველ მოადილეს ბატონ ირაკლი მატკავას.

ასევე, გაცნობებთ, რომ არსებული მდგომარეობა ადგილზე შეისწავლა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრმა და დაადასტურა, რომ იქმნება გარემოს დაბინძურების და ინფექციურ დაავადებების გავრცელების რეალური საფრთხე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა დუშეთის მუნიციპალიტეტში, სადაც იტბორება ხევის წყალი, ღიად მიედინება, როგორც მოსახლეობის ფეკალური ჩამდინარე წყლები, ასევე აქ მდებარე ხორცის დამამზადებელი სასაკლაოდან ბიოლოგიური სითხეებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლები. დგას მძაფრი სუნი და არის ანტისანიტარიული მდგომარეობა, რაც ქმნის ეპიდაფეთქების საშიშროებას.

უწყებებიდან მიღებული წერილების მიხედვით, ყველა დაინტერესებული მხარე გამოთქვამს მზადყოფნას, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, წერილში დასმული საკითხის მოგვარების მიზნით, მონაწილეობა მიიღონ შესაბამის სამუშაო შეხვედრებში.

„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის N400 დადგენილების შესაბამისად, ტურიზმის განვითარება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური

განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის, სიღარიბისა დონისა და უმუშევრობის შემცირების საფუძველს. მცხეთა–მთიანეთის რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარების სფეროში, რომელიც უპირობოდ დამოკიდებულია რეგიონის ეკოსიტემების სიჯანსაღეზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას მხოლოდ ერთი უწყება ვერ შეძლებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაიმართოს წინასწარი განხილვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ქალბატონ მაია ცქიტიშვილის ჩართულობით, რათა საკითხი განხილულ იქნას სამთავრობო დონეზე, დაიგეგმოს მდ. არაგვის ხეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

ეროვნული ცენტრი გამოთქვამს მზადყოფნას, კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოს მონაწილეობა მდ. არაგვის ხეობის დაბინძურებისაგან დაცვის და მდგომარეობის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე